უფლებრივად უნაკლო ნივთის მიწოდების ვალდებულება CISG-ის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (ინტელექტუალური საკუთრების კონტექსტით)

მარი ვარსიმაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სვანაძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარი ვარსიმაშვილი

5 ივლისი, 2021 წ.

აბსტრაქტი

თანამედროვე ბიზნეს ურთიერთობებში უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. საინტერესოა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების კავშირი ნასყიდობის სამართალთან. ნასყიდობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელშეკრულებო ურთიერთობაა. გასათვალისწინებელია, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, მაგალითად, პატენტი და სასაქონლო ნიშნები, არაერთ საერთაშორისო ტრანზაქციას უკავშირდება. ნასყიდობის და ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ნორმები ხშირად რელევანტურია ისეთ სახელშეკრულებო ურთიერთობებთან მიმართებით, რომელიც ეხება კომპიუტერულ პროგრამებს, ფარმაცევტულ სფეროსა და სხვ. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე გასაკვირია პრაქტიკის სიმცირე.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ნასყიდობის საგანთან ან თავად იყოს ნასყიდობის საგანი. მეორე მხრივ, მე-3 პირების ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არსებობა გამყიდველის პასუხისმგებლობის მიზეზი ხდება. ნაშრომი ეხება გამყიდველის ვალდებულებას მიაწოდოს მყიდველს უფლებრივად უნაკლო ნივთი. ამ კუთხით შევადარებთ ვენის ნასყიდობის კონვენციას საქონლის საერთაშრისო ნასყიდობის შესახებ (CISG) და საქართველოს სამოქალაქო კოდექსს(სსკ-ს). CISG ნასყიდობის სამართალია, ამიტომაც ნაშრომში განვიხილავთ ნასყიდობის სამართლის მომწესრიგებელ ნორმებს სსკ-სთან მიმართებითაც. უფრო ზუსტად, განვიხილავთ ნასყიდობის და ინტელექტუალური სამართლის არსს და ურთიერთკავშირს. ამასთან, ყურადღებას გავამახვილებთ უფლებრივად უნაკლო ნივთის მიწოდების ვალდებულებაზე, როგორც ზოგადად, ასევე ინტელექტუალური სამართლის კონტექსტით. დოქტრინალური კვლევის მეთოდით და სასამართლო პრაქტიკის შედარებით წარმოვაჩენთ CISG -ის 42-ე მუხლისა და სსკ-ის 489-ე მუხლის წინაპირობებს და მათ შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებს.

კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე მხარეებს შესაძლებლობა აქვთ გამორიცხონ 42-ე მუხლის მოქმედება. მეორე მხრივ, საერთაშორისო კერძო სამართლებრივ

ურთიერთობებში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ რომელიმე ქვეყნის, მათ შორის ქართული სამართლის გამოყენებაზე. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე დაყრდნობით, ამ ურთიერთობების მხარეთა შეთანხმებით დარეგულირებაც შესაძლებელია. შესაბამისად, თითოეული წინაპირობის ცოდნას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. საქმის ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, სამართლებრივი ურთიერთობის მხარეებს შეუძლიათ სურვილისამბრ დააბალანსონ თავიანთი პასუხისმგებლობის ფარგლები.

საძიებო სიტყვები: ნასყიდობა, საერთაშორისო ტრანზაქციები, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, უფლებრივი ნაკლი, გამყიდველის პასუხისმებლობა

Abstract

Intellectual property rights are an essential part of the modern business transactions, thus the interaction between IP law and sales contracts is very interesting. A sale contact is one of the most common and widely used types of agreements. In addition, IP rights, for example, patents and trademarks are connected to the large number of international contracts as well. Sales law and IP rights are frequently used to regulate legal relations concerning computer software, pharmaceutical goods, and etc. Taking into consideration the significance of the topic, it is surprising that case law does not discuss it comprehensively.

IP rigts can be linked to the object of the sales contracts or in some cases, sold intependently. On the other hand, third party IP rights might cause seller's liability. This work is oriented to discuss seller's obligation, specifically the obligation to deliver goods free from third party rights. This thesis is a comparative analysis of CISG and Georgian civil code. CISG is the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods. Therefore, the articles of the Georgian civil code which govern sales contracts are relevant. This work is concerned with the meaning and interaction of sales contracts and IP rights, as well as with the seller's obligation to deliver goods free from third party IP rights. As a consequence of the examination of the schoraly wrightings and case law, the prerequisites of article 42 of the CISG and article 489 of the Georgian civil code will be represented and discussed.

Parties have the possibility to derogate from the Article 42 of the CISG. In addition, they can choose the governing law of international contracts. In general, they can regulate their relationship with their agreement. Determining prerequisites of those articles have practical purpose of the allowing parties to choose the rules depending on the circumstances of the relationship.

Key words: Sale, International transactions, Intellectual property, Intelllectual property rights, Defect in title, Seller's obligations